


კვირა, 15 მაისი, 1916 წ.

საქართველოს
ლაშქარის
გაზეთის
მისამართი



ვლადიმერ ივანეს ძე ღარიანი.

სახელოვანი მამულიშვილი და მშრომელთა ბაირახტარი, ოპის დაწყებისას გერმანეთში ტყვედ მოჰყვა. ავადმყოფობით გარდაიცვალა 7 მაისს (ახ. სტ.) 1916 წ. (იხ. დღევანდელი გაზეთი).

თავარ გეგვს, თავარ წინ- დას, თავარ გეგვნიარს

ჩემმა ენამ რომ აფრქვიოს ალმასი და იაგუნდი,
რომ მოვიხმო, მოვიშველო ანგელოზთა მწყობრი გუნდი,
რაფაელის ღვთაებრივი ყალამიც რომ მოვიხმარო,
რომ ბუნების სამხატვროში ამოვწურო ფერთა წყარო,
ვერ დაგხატო, ვერ გადილო შესაფერად „შუქმთინარო,
თამარ წყნარო, შესაწყნარო, ხმა ნარნარო, პირმცინარო!..“

ქება ხოტბა მე არ ძალმიძს... საიმისო ნიჭი არ მაქვს:
საქარგლოს კაეშანი მგრძობიარე გულით დამაქვს!
მწარე არის იგი მეტად, მძიმე, დიდი, უსაზღვრული,
მის ზოთხრობით სევდიანმა ვერ ვახარო შენი სული!
ზოიღრუბლა, დაგვიბნელდა ცა, ოდესღაც სპეტაკ-წყნარი
ჩასვენებულს, ცხოველს მყოფელს, მზეს დასტირის ჩვენი ქნარი!
აღარ გგეგხარ, დიდი თამარ, მოგვარიდა ღმერთმა პირი,
აღარა გგეგვს მემკვიდრენი: დაგვებოცა ყველა გმირი!
საქარგლოს ლამაზ სხეულს ნაქანდაკევს შენის ხელით,
სულდგმულს შენის მძლავრის სულით, მოსულს წმინდა შუქ-ნათელით,
ზრდოლის აღში გამოწრთობილს, გაკაყებულს, გარკინებულს,
მუხთელ ბედის ჯადოქრობით ღონე მიხდილს, დაძინებულს,
ტურა მგელი დაეხვია!.. ყველამ გაჰკრა ბასრი კბილი,
გასწეწა და განოსწეწა, გაიჩინა ლუკმა ტკბილი!
მის საშველად არეინ მოდის... არსადა სჩანს მისი მხსნელი!..
დადღვთილი მკერდს წყლულით შადრევანობს სისხლი ცხელი!
არსად სჩანან მისი შვილი, სიყვარულით რომ აღზარდა:
ლომბუმბერასთ ზოდგმა, ეჭა, დაწვრილმანდა, გადაგვარდა!
არას დაესდგეთ, ნუზღლის განძი ვინ და როგორ გაიტაცა,
ჩვენი გრძობა და გონება.. ნაცრის ქექვამ გაიტაცა!
მის საშველად არეინ მოდის... ემატება ჭირზე-ჭირი,
თამარ მეფეგ, თანარ გმირო, დაგვებოცა ყველა გმირი!

სისხლის ზღვაში დაცურავდით გულგანაწონ განგმირულნი,
ჯვარს ვაზისას ვიფარავდით თავდადებულ-განწირულნი,
რჯულისათვის წარმართ ურდომ სად და როგორ არა გვჩეხა,
მაგრამ სული, ლომის გული, იმან ჩვენ ვერ გაგვიტეხა!
საუცხოვო, დიად ტაძართ გუმბათები ცას სწვდებოდნენ,
იქ ივერთა ლოცვის ხმანი ღვთის წინაშე არ სწყდებოდნენ...
იქ ისმოდა კათოლიკოზთ მამობრივი ქადაგება,
იქ შეიქმნა ერის სულის ხელუქმნელი ქანდაკება!..
დროთა ბრუნვის ქარიშხალმა ის ტაძრები დაგვიანგრა,
ჩვენი სულის ქანდაკება გაგვითელა, დაგვიანგრა!..
შემოგვეჭრა ველურთ ურდო ჩვენივე ხელით ნაშენ ხილით
და ერთს წუთში დაგვეკარგა ათას წლობით რასაც ვქმნიდით!
დაგველუპა ყოველივე... ჯვარი ვაზის ჩვენთვის გახმა...
შთენილ ტაძართ კედელთ შორის აღარ ისმის ივერთა ხმა!
და გაურბის უფლის სახლსა დიდი, მცირე, კარგი ცული...
იქ ვერავის შეიტყუებ თუნდ შეუგდო მას შიგ ქული!..
ღმერთს ვერ ასმენს თავის სევდას ერი ჩაგრულ დატანჯული
თამარ მეფეგ, თამარ წმინდავ, გვეკარგება რწმენა, რჯული!..

დიდმა შოთამ, შენმა შოთამ, შენის ტრფობით მგოსნად ქმნილმა,
მზის სხივები მოგაფინა ენა მკეგრმა, ენა ტკბილმა.
ხორციელი სილამაზე შეუთანხმა სულიერსა:
შენი სახე ღვთაებრივი დაუხატა ქართველ ერსა!
სიყვარულის დიდი გრძობა უფრო მეტყო, გაადიდა,
გულთა ტრფობა ღრმა და წრფელი აყვავილა და ადიდა!
ქვემძრომ ვნებას მოაგლიჯა ხარბი თვალი და ნესტარი,
მიჯნურს, ტანჯვით გაწმენდილსა, ბოლოს ასვა მან ნექტარი,
ქალის სახე შენს დროს, თამარ, მნათობივით აშუქებდა,
და რაინდი მოტრფივალე მშვენიერსა რას უქებდა;
სულსა სპეტაკს, სინარნარეს, კდემა მოსილს გულსა მთლიანს,

Handwritten signatures and scribbles at the bottom of the page.



კობა მისხი — ქანდაკება მ. ჭიაურელისა.

სიყვარულსა თავგანწირულს, ალერსს ტკბილსა, ნათელ მზიანს,
მიჯნურთ წესით ვაჟკაცისთვის ბევრი იყო რამ საჭირო;
სიმამაცე და სიმტკიცე, საქმე დიდი და საგმირო;
ველად გაჭრა, თავის გულში ღრმად ჩახედვა, ტანჯვად ქცევა,
შორით ჭკრეტა, შორით კვდომა, შორით ცხარე ცრემლთა ფრქვევა!
ტანჯვა ფიქრის განცდის შემდეგ საყვარლები ერთდებოდნენ,
აჩაღებდნენ თავის კერას, გმირებს ზრდიდნენ და სტკებოდნენ!
ასე იყო... ღვთაებრივო, ეხლა ასე აღარ არი!
გადაუტყდა შუაზედა ჩვენს ზნეობას წმინდა ფარი:
მიჯნურის და მსუნავისა შორის არ სჩანს უკვე ზღვარი
აზობოქრდა თავაშვებულ გრძნობათ მღვრიე, მთვრალი ღვარი!
ქალის ტანი გააშიშვლა წამბილწველმა ვნების თვალმა,
ააძგერა ლაყე გული წუთიერი ჟინის აღმა!
სიყვარული, ცით მოხსნილი, მკენარი ღუქნის დახლზე გდა,
და მშვენიერის ტაძრის კარი ნადირთათვის არის ღია!...
ჰე მგოსანო, არგინ გიქებს ამგვარ ჰანგსა, კანდიერო!
მიმიხვდები მხოლოდ შენა, თამარ ქალო, მშვენიერო!...

ასე არის!.. მაგრამ მაინც გულს არ ვიტებს! კიდევ ველი!
ჩვენ სიცოცხლეს უდგას მცველად შენი საქმე და სახელი!
მიწის არ ხარ და მიწაში, მწამს, არცა ხარ დამარხული;
რულსა გრძნეულს მიცემულსა შენა გმაღავს ქართვისს გული!
ჰა, ირკვევა, შენ გაღვიძებს, კვლავ ივსება ლომის ძალით...
ახ, შენს მოსვლას ტრიუმფალურს უკვე ვხედავ მგოსნის თვალით:
მობრძანდები სხივოსანი, მომლიმარი, მშვენიერი,
მუხლმოდრეკით გეგებება აღდგენილი შენი ერი!
წინ მიგიძღვის ძლევის დროშა, უკან მოგდევს გმირთა ჯარი,
მღვდელმთავრისა ხელში ჰყვავის წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი!
მზე დაჰხარის მთა და ბარსა, ხვევრდოვანს ზურმუხტ-მდელოს
ზღვიდან ზღვამდე გრგვინავს მძლავრად: „გაუმარჯოს საქართველოს“!

30 აპრილი.

კ. მაყაშვილი.

...შენ არ გიყვარდა სიბნელე! მახ-
სოვს—ყველა სანთლებს დაანთებდი
და გაბრწყინებული სახით გაიძახო-
დი:
— მეტი სინათლე, მეტი სივრცე,
თავისუფლება!
გეჯავრებოდა სიწყნარე და ღუმი-
ლი...
როცა ლაპარაკით დაღლილი დაე-
ჩუმდებოდით, მიუჯდებოდა ხოლმე
როიალს, უკრავდი, მღეროდი.
... მეტი სიცოცხლე! სიცოცხლე
ბობოქარი, დაუდგრომელი!...
დამშვიდებული ზღვის შეხედვაც
კი გაბრაზებდა.
— ეს თუ ასე დადუმდა, შიგ გველ
ბაყაყები დაიბუდებენ.. რატომ არა
ღელავს?! რატომ არ ახლის ამ
კლდეს?!
შენი ბრაზიანი კილო ეხლაც ყურთ
მესმის.
— მეტი სილამაზე!
ამ სიტყვებთან ერთად ფანჯარას
აღებდი და ნეტარის თვალებით შეს-

ცქეროდი იქვე, შენის ხელით გაშე-
ნებულ ყვავილნარს; მათი სურნელე-
ბით სტკებოდი, ითვრებოდი.
საამო იყო იმ წუთში შენი სახის
ყურება.
გიყვარდა გაშლილი ჰორიზონტი,
კაშკაშა ცა და ცხრათვალა მზე.
შენს ახალ ბინაზე ხომ ამიტომ გა-
დასახლდი.
— აქ ცა მუდამ პირდაბანილია და
მზეს სიცილში ეჯიბრებო.
ასე ამბობდი...
ეხლა?
კაშკაშა ცას გლოვის ჩადრი აფა-
რებია და ჰაერიც მყრალი სუნით გა-
ქვინთილია...
ფუჰ!... ფუჰ!...
ამბობენ დამწვარი თოფის წამლის
სუნიაო...
ყური დაუგდე!...
შენი მშვიდი ჰანგების ნაცვლად
ტირილი და გოდება გაისმის.
დადუმდა სიცოცხლე...
სდუმან ფოთლებიც.
შენი ფოთლებიც;..

ქორიკანა ცელქებს, რომელნიც შე-
ნი აქ ყოფნის დროს ერთმანეთში გა-
ცხარებით ჩურჩულებდნენ, ეხლა ში-
შით თავები ერთმანეთის უბეში ჩაუ-
რავათ და განაბულნი ელიან ბოლოს.
მასოვს—ზაფხულის ღამეს გადახე-
დავდი მთვარის შუქით განათებულს
ენა-მეტა ლაზლანდარებს და ალერსით
ეტყოდი:
— იჩურჩულებთ, ჩემო შვილებო!
იქორიკანეთ! თქვენ ხომ ნაყოფი ხართ
იმ ამბორისა, რომელსაც შეყვარებული
მზე ყოველ ღილით უგზავნის თავის
სატრფო-საყვარელ დედა-მიწას!..
შენი ტაძარი, შენი ბინა და სამ-
ფლობელო დანგრეულია, ფერფლად
ქცეული. მხოლოდ კედლები და დარ-
ჩა, რომელსაც იატაკათ შერყვნილი,
შეგინებული დედამიწა უდევს და სა-
ხურავად ნაცრისფერად შებურვილი
ცა...
შენი ვარდნარი?!
ყოველ ვარდის ძირში საფლავი გა-
შოტილა და ხის ჯვრებია ამართული.

შენს ცქრიალა ყვავილებს ფოთლე-
ბი ზედ შესქნობოდა...
ცრემლი ვაპკურე.
მაგრამ უარის ნიშნად თავი გააქა-
ნეს, ფოთლები საფლავს დააპნიეს,
გული გაიპეს და გადმონადენ სისხ-
ლით ცრემლი მოიბანეს...
სისხლი ზედ შეახმა...
გოლვაა, სიცხე...
ღედა მიწა იწვის, ჰგოდებს:
ცა სიცხისაგან კვნესის, ღრტვინავს,
მაგრამ...
ღედა მიწას სისხლი სწვავს და ნა-
მავს.
ცას და ჰაერს ცრემლი აგრილებს...
ნეტავი ეხლა როგორა ცოცხლობ?...
რითი-ღა სუნთქავ?!
ცოცხალი კი ხარ?
გალ. შალიკაშვილი.
სოხუმი.



ოცნების ტალღებში.

„სახელოანი“

(მცირედი რამ ამბავი)

V

ეს ამბავი იყო რომ კალმით აუწერილი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ შეგნებულ ახალგაზრდობაზედ მიუხედავად წრისა, ჯგუფისა, წოდებისა და მიმართულებისა. მართალია მთელი ეს შეგნებული ახალგაზრდობა სხვა და სხვა ქალაქებში ბინადრობდა სამუდამოდ, თუ დროებით; ზოგნი დიდის მანძილითაც იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი. მაგრამ ვერც მანძილმა და ვერც სხვა რაიმე გარემოებამ ვერ შეასუსტა სიძლიერე შთაბეჭდილებისა, რომელიც გამოიწვია ივანეს ამბავმა.

რალაც თილისმური გავლენა მოახდინა ამ ამბავმა ყველაზედ. განურჩევლად ყველაში იფეთქა ერთმა თანაგრძნობამ ივანესადმი, ყველა გაიმსქვალა ერთის აზრით თავგანწირვით შეებრძოლოს ბოროტებასა და უსამართლოებას, რის მსხვერპლადაც ივანე გამხდარიყო, ყველა შეიპყრო ერთმა ფიქრმა ივანეს დასახმარებლათა და საშველად მიმართულმა და ყველას გულის სიღრმიდან აღმოხდა ერთი და იგივე ამონაქენისი: „როგორ, ღვდელი, მოვანზე—ყველა ესენი ჰყე-

ლფენ ივანეს, ათეცად ტყავს აძრობენ მას, იგი ეძებს მშველელს, მხსნელს ამისთანა გაჭირებულ მდგომარეობიდან და მხსნელი კი ვერსად უპოვია! და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ, მთელი ახალგაზრდობა, სწორედ მის მხსნელად ვართ მოვლენილნი, მოწოდებულნი და მომზადებულნი! რალას ვუყურებთ, როცა სამკალი ჩვენთვის მომზადებულა?“ და ყველანი დაუყოვნებლივ და გამოუკლებლივ, თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, მოეშურნენ დედა ქალაქს, რათა შეერთებულის ძალებით შესდგომოდნენ ივანესადმი თვისი მოვალეობის განხორციელებას.

**

ასე უსაფუძვლო გამოდგა ივანეს ჩივილი მაზედ, რომ ვითომც მას და მასთან ერთად მთელ გლეხკაცობას გულშემატკივარი და მშველელი არავინა ჰყვანდა. რა ნაირად გაეხარდებოდა ბეჩავ ივანეს, თუ თვითონაც გაიგებდა, რომ ამდენი კეთილი მზრუნველი ჰყვანდა მას და მერე სულ ისეთნი, რომელთაც ვერც თვითონ იცნობდა და ვერც ისინი იცნობდნენ მას და მის ცხოვრებას.

ხოლო ამისთანა უცნობობამაც კი ვერ შეუშალა ხელი ზოგიერთ სულით აღზნებულთ და გულით ლმიობერთ

ჯადოსნურ-მომხიბლავი ლექსებით და-ესურათხატებინათ მისი ღუბჭირი ცხოვრება და სიცოცხლე.

რასაკვირველია მეტია იმისი თქმა, რომ აფრასიონიც თავისი თანმოახრეთა და ამხანაგებით თვალახინო ნაწილს წარმოადგენდა ერთსულოვანობით და კეთილშობილური მიწსწრაფებით შებოჭვილ ახალთაობის შეკრებულებისას.

სივრცით განთქმული დარბაზი ვედარ იტევდა ივანეს მზრუნველთ.

პირველად, როგორც წესია, შეუდგნენ კრების ხელმძღვანელის ანუ თავმჯდომარის არჩევას. მაგრამ რადგანაც მთელი დრო პირველს კრებისა მოუნდა მარტოდ-მარტო წინასწარი სიტყვების თქმას, თავმჯდომარის არჩევა ვერ მოასწრეს ამ ხანად-არც კი დაუსახელებიათ ვინმე ამ თანამდებობაზედ მაშინ, როდესაც მრავალ დიდად შინაარსიან და მჭერმეტყველურად წარმოთქმულ სიტყვებში სურათდებოდა მხოლოდ სახე და მოვალეობა თავმჯდომარისა.

VI

მეორე კრება უფრო მრავალრიცხოვანი გამოდგა. ახლა კი მართლაც და ვედარ იტევდა ფართო დარბაზი მოზღვავებულ ხალხს,—ბევრი უადგი-



† ტომსკის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი სოლომონ გენე-ბაშვილი

ლობისა გამო იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

სიტყვებს მეორე კრებაზედ წინა კრების სიღინჯე და სიმშვიდე თანდათან ეკარგებოდა და აღუღებინა. და აჩქარების ელფერი ეძლეოდა, თვით კრების ერთიანობასაც ორ ბანაკად გაბზარვა ეპარებოდა. ბოლოს გაჩაღებული ავტაცაცა გაიმართა კანდიდატების დასახელებაზედ. დასასრულ დასახელებს ორი,—მათგან ერთი აფრასიონი. ხოლო ამორჩეულ იქმნა ერთად-ერთი კენჭის უმრავლესობით აფრასიონის მეტოქე.

ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ, რასაკვირველია, წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელიც იქავე გაუკრიტიკეს მოწინააღმდეგეებმა აფრასიონის მეთაურობით და დემონსტრატულად დასტოვეს დარბაზი და კრებაც ამ უმად ამით დასრულდა.

**

თუ გამარჯვებულნი განცხრებოდნენ და სტკებოდნენ თვისი ძლიერების ნაყოფით, სულ წინააღმდეგ სულისკვეთებასა და მწარე წუთებს განიციდიდნენ დახარცებულნი,—მომეტებულად კი აფრასიონი. მთელ ღამეს არა სძინებია აფრასიონს. სულ ბუტ-ბუტებდა, ჯავრობდა, მუშტების მოღერებით და თავის ქნევით ვილაცას ემუქრებოდა: „მაცადე შენ, რა ღღეს დაგმართებ!“ „არა, იმან რათა თქვა ის, რასაც მე ვფიქრობდი და რაც შეუნდა მე თქვა! ვინ მისცა იმას ნება ამოეშვა პირიდან ის, რაც პირველად ჩემი პირიდან უნდა ამოსულიყო? რად ჰხვდა იმას ტამის კვრა და ვაშას ძაბილი, რომელიც ჩემი კუთვნილება იყო და უნდა კიდევ ყოფილიყო? მე იმან უსვინდისოდ მოძტაცა აზრიცა და პატივიც. განა მე ყოველ ამას მოუთმენ და ვაპატავებ! მაშ მე აფრასიონი არ ვიქნები, თუ ის დიდხანს იპარპავებს! აბა მიყუროს, როგორ გავუკრუო და გავუბათილო მას ყველა ნათქვამი და გავაშავო იგი მათ თვალში, ვინც ტაშს უკრავდა და ვაშას ეძახოდა.“

VII

იმ დროს, როდესაც აფრასიონმა და მის თანამოახრეთ შეუბლაღებლივ უღირღინდათ გულს შურია ძიება გამარჯვებულთადმი, ამ უკანასკნელთა ბანაკში სიცოცხლე სდულდა და გადმოდიოდა.

აღზნებული და აღფრთოვანებული შინაარსის ლექსების კითხვა და გაოჩევა, ლექსები, კრატეული მიმო-

ხილვები ერთი ერთმანეთსა სცვლი-
დნენ. სწორედ მნიშვნელობით რომ ვი-
ხმაროთ, დარბაზი, სადაც კრებები
იმართებოდა, გარდაიქცა ნამდვილ
გრდემლად, ვინაიდან აქ იკედებოდ-
ნენ ახალ-ახალი და ამასთანავე შესა-
ნიშნავი საზოგადო მოღვაწენი. ხალ
ხური ანდაზისა არ იყოს, „როგორც
ჩეჩქი, ისე ისეროდა“ დარბაზი ქუჩაში
საზოგადო მოღვაწეებს. დარბაზში შე-
სვლის მეტი კი არაფერი სჭირდებოდა
აღამიანს, რომ საზოგადო მოღვაწის
სახელი მოეპოვებინა.

შევიდოდა დარბაზში ვინმე, მხო-
ლოდ ცნობისმოყვარეობით გატაცე-
ბული, რომელსაც თავის დღეში არ
მოუსურვებია და არც უფიქრია სა-
ზოგადო მოღვაწის სახელისათვის. ჩა-
თრევედა მას მიმართულება და მიმ-
დინარეობა სჯა-ბაასისა, წარმოსთ-
ქვამდა სიტყვას და ქუჩაში გამოვი-
დოდა იგი უკვე საზოგადო მოღვაწის
სახელით.—თუ სხვა არ უწოდებდა
მას ამ სახელს, თვითონ არ ეზარებო-
და მიეკუთვნებინა თვისთვის ეს სა-
ხელი.

ეს იყო და ეს. იგი დარბაზში ფეხს
აღარ შესდგამდა, თუ რაიმე საგანზედ
სჯა-ბაასს ზედ დივერტისმენტი ღ ვახ-

შამი არ მოჰყვებოდა. ან კი რა უნ-
დოდა იქ სხვა დროს, როდესაც იგი,
როგორც საზოგადო მოღვაწე, თავის
ფართო ასპარეზზედ—ქუჩაში სხვა
მრავალთა უკვე დიდი ხნის დამსახუ-
რებულ მოღვაწეებთან ერთად წმინ-
დად ასრულებდა თავის მოვალეობას:
სხვასაც ავარჯიშებდა და თვითონაც
ვარჯიშობდა, რათა მისი ენის ბორძი-
კი ქართულად ლაპარაკის დროს, თუ
ქართულად წარმოსთქვა სიტყვა დარ-
ბაზში, არ დაჰჩემებოდა უცხო ყოველ-
თვის სახმარებელ ენაზედაც, და ამას-
თანავე გაფაციცებით ადევნებდა
თვალ-ყურს, ვის გადაუბრუნდებოდა
ფეხი თანამოღვაწეთა შორის, რომ
მისდგომოდა და ზურგზედ ბოლი აე-
დინა და ქვეყანა შეეხედებინა ფეხ-
გადაბრუნებულზედ.

* * *

დარბაზი დიდ მნიშვნელობას არც
ახლა არის მოკლებული და ისევ პირ-
ნათლად ემსახურება თვის მიზანს. ხო-
ლო აქ სახელის მოპოვება მომეტე-
ბულ ნაწილად შემთხვევითი იყო და
არის და რაც ითქვა დარბაზის შესა-
ხებ—ისიც ითქვა სხვათა შორის. ახლა
კი საუკეთესო იქნება სრულიად თავი
დავანებოთ დარბაზსაც და, რაც მასში

ჰხდება, იმასაც და მივუბრუნდეთ და
მივყვეთ კვალდაკვალ—არა, ეს ძრიელ
შორს წავიყვანს—მივყვეთ ხანდახან
მას, ვისაც შემთხვევითი კი არა ჰხვდა,
არამედ ბავშობიდანვე მოკიდებული
სწყუროდა, ეძებდა და კიდევაც იპო-
ვა ნამდვილი სახელი, ანუ როგორც
თვითონ უწოდებდა „სახელოანობა“.

ეს გახლავთ უკვე ნაცნობი აფრა-
სიონი.

VIII

აფრასიონი ისეთ გარემოებაში იმ-
ყოფებოდა, რომ უთუოდ უნდა დას-
დგომოდა იმ გზას, რომელსაც დაად-
გება ხოლმე ყოველი სახელის მძებნე-
ლი ახლანდელ დროში—ყოველნაირი
საშუალებით მეტოქისა და მოწინააღმ-
დეგის დამცირებას. მეტის-მეტად
ცხარე წერილი დასწერა აფრასიონმა.
წერილში დაწვრილებით არკვევდა და
კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა
მეტოქის ყოველ ნიშანწყალს, ღირსე-
ბასა და მოქმედებას. მაგრამ არც
ერთმა თანამედროვე გაზეთმა არ მო-
ათავსა ეს მისი წერილი თავის ფურ-
ცლებზედ.

ერთი გაზეთის რედაქციაში უთხ-
რეს:—ჩვენი რედაქციის კორპორაცია
ერთად ერთი წარმომადგენელია მთე-

ლი „საზოგადოებისა“ და გამომხატ-
ველი მისი აზროვნებისა და მისწრა-
ფება მიმართულებულია დასწერა
ვის წინააღმდეგაც არის მიმართული
წერილის შინაარსი, კორპორაციის
თანამოაზრე და წევრია, და მაშასა-
დამე წერილი მიმართულია მთელი
„საზოგადოების“ წინააღმდეგ, რომ-
ლის ინტერესების დამცველობა და
ხელმძღვანელობა ჩვენა გვაქვს ნაკის-
რი და „საზოგადოებაც“ ანგარიშს
გვიწევს. ამისთვის წერილის მოთავსე-
ბა ჩვენს ორგანოში შეუძლებელიაო.

მეორე გაზეთის რედაქციაში უპა-
სუხეს:—ერთად ერთი ჩვენი გაზეთი
ემსახურება მთელი „საზოგადოების“
ნამდვილ ინტერესებს და „საზოგადო-
ებაც“ აფასებს მის სამსახურს და სავ-
სებით ენდობა მას. ამისთვის „საზო-
გადოების“ ნდობას ბოროტად ვერ
მოვიხმართ და არ მივაწვდით იმას,
რაც არ ეთანხმება ჩვენს აზრსა და
მიმართულებას, როგორც თქვენი წე-
რილის შინაარსიაო.

(შემდეგი იქნება)


მელანია.



დ. ლ. შაბანოვი (სომხების „კავკასიურ სლოვოს“ დუღუკზე ათამაშებს
„უმწიკლო“ ქართველ პუბლიცისტებს).

ჩოლახ, ჩოლახ, სარქისჯან, ფეხი კარგად გაუსვი
სომხებს ქება უთხარი, ქართველთ მური წაუსვი,
ჩოლახ, ჩოლახ, ლევანჯან, განთქმული გაქვს ნამუსი!
საქართველოს გინება, „სლოვოს“ ჰანგზე აუსვი!
თქვენ ბავაღლო ბჭყვრილა გირჩევიანთ ყველასა,
ოლონდ გაასაღებდეთ თქვენს ხრინწიან ხველასა.
ერთი კარგი მალაყიც და შეჰკარით კამარა
სარქის, რარიგ გამშვენებს ეგ ლევანი ავარა!
შეხტით, შემოტრიალდით, ფულით მოგცემთ შველასა!
ერის მაიმუნებო, აბა, დელი-დელასა!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან



ა. ი. ხატისვი.

ამ ერობის საკითხში
თავქვე მივექანები;
თითქოს მუხლი მლაღატობს,
ჩამდგომოდეს ქარები,
ვაი ჩემსა განზრახვას,
ვის სად შევეფარები?
რა უღროოდ დაჟმარცხდი,
მაჭყეტინეს თვალები!

რედაქტორ გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.